

K 10 553
4



ვეფხისტყაოსნის მკვლევართა აკადემია
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

თეიმურაზ ბარნაველი

მანგლისის ტაძრის წარწერები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა



თბილისი — 1961

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

თეიმურაზ ბარნაველი


მანგლისის ტაძრის წარწერები

K 10553
4



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1961



თეიმურაზ ვასილის ძე ბარნაველის ნაშრომი
უნება მანგლისის ძველი ტაძრის როგორც ისტორი-
ულ წარწერებს, ისე მის გუმბათის ყელში შერჩენილ
მოხატულობაზე მოყვანილ საკულტო ტექსტებს.

ძველის ისტორიული წარწერები, რომელნიც
არაერთგზის ყოფილა კვლევის საგნად, მრავალ კით-
ხვას ბადებდნენ მათი შინაარსის ამოხსნის თვალსა-
ზრისით. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია რიგ
წარწერათა ახლებური წაკითხვა სათანადო კომენტა-
რივით. კვლევის თანამიმდევრობით მოყვანილია გან-
ხილული წარწერების წაკითხვათა ვარიაციები, არსე-
ბული ბუბლიკაციების მიხედვით.

წარწერების შინაარსის კვლევას თან ახლავს
პალეოგრაფიულ თავისებურებათა დახასიათება, რის
საფუძველზეც განისაზღვრება წარწერების შესრულე-
ბის პერიოდი.

ნაშრომს დართული აქვს წარწერების ზუსტი
მონახაზები, შესრულებული ადგილზე ავტორის მიერ.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი გ. ჩუბინაშვილი

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ბათიაშვილი

ტექნორედაქტორი ნ. ჯაფარიძე

კორექტორი ქ. წერეთელი

ბეჭდვა წარმოებას 15.10.1960; ანაწყოების ზომა 7×12; ხელმოწერილია

დასაბეჭდად 1.11.1961; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆;


ქაღალდის ფურცელი 1.0; საბეჭდი ფურცელი 2.74; საავტორო

ფურცელი 1.88; საალრიცხო-საგამომცემლო ფურცელი 1,94;

შეკვეთა № 1503; უე 02911; ტირაჟი 600

ფასი 13 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5



მანგლისის ტაძრის წარწერები მრავალჯერ არის გამოქვეყნებული, მაგრამ არსებულ პუბლიკაციებში ზოგიერთი წარწერა მაინც არ არის საბოლოოდ წაკითხული და დღესაც დაინტერესებულთა ყურადღებას იპყრობს.

აღნიშნულ წარწერებზე მუშაობის შედეგად შესაძლოდ მიგვაჩნია წამოვაყენოთ რამდენიმე მოსაზრება მათი ამოკითხვის შესახებ.

ამ წერილში მოყვანილი იქნება ჯერ ტაძრის შერჩენილი წარწერები, შემდეგ კი დღეისთვის უკვე დაღუპული წარწერები, რომლებიც ცნობილია სხვადასხვა პუბლიკაციებით.

1. ტაძრის სამხრეთის სტოას აღმოსავლეთის კედელზე, ერთ მთლიან ქვაზე მოთავსებულია სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. წარწერის სიმაღლე 23 სმ, პირველი და მეორე სტრიქონის სიგრძე 74 სმ, მესამე სტრიქონისა კი 54,5 სმ; ასოების სიმაღლეა 5—5,5 სმ.

† ო ო შ ყ ყ ო რ უ ს უ ო
 ი ო ბ ო შ ს ო ო ო ა ყ უ
 უ რ ხ ო ს ო რ ე ო

სურ. 1.

† ო ო შ ყ ყ ო რ უ ს უ ო
 ი ო ბ ო შ ს ო ო ო ა ყ უ
 უ რ ხ ო ს ო რ ე ო

ცნობილია ამ წარწერის შემდეგი ამოკითხვები:

მ. ბ რ ო ს ე ს წაკითხვით: „ქ, უფალო, მოიქსენე სული ღოდოდმის ძეთა შალვა, კოსტანტი“¹.

¹ „Seigneur, souviens-toi de l'âme de Chalwa et de Constanti Ghodomis-Dze“ (M. Brosset, „Essai de déchiffrement des inscriptions de l'église de Manglis“, Mélan-

ე. თაყაიშვილის წაკითხვით: „უფალო მოიგსენე სული ღოდომისძეთა შეუნ-
დვენ კოსტანტი“²

ა. შანიძის წაკითხვით: „+ ოფალო მოიგსენე სოული ღოდომას ძეთა შჰვენ (ჲ)
[და?] კოსტანტისი“³.

მაგრამ ა. შანიძე იქვე აღნიშნავს, რომ „არც ბროსეს წაკითხვაა დამა-
კმაყოფილებელი, არც ე. თაყაიშვილისა, მაგრამ ვერც მე შემომამქვს რაიმე
გარკვეულობა“⁴.

მოყვანილი წარწერის წაკითხვა რთულდება იმიტომ, რომ წარწერას არა
აქვს განკვეთის ნიშნები. ყველა არსებულ პუბლიკაციაში განკვეთის ნიშნები
ერთსა და იმავე ადგილს ისმება, მაგრამ, ჩვენის აზრით, განკვეთის ნიშნები
შეიძლება დაისვას არა ტრადიციული მიდგომით, რომელიც მიღებულია ამ
წარწერის პუბლიკაციებში, არამედ ისე, რომ მეორე სტრიქონში ცალკე იქ-
ნეს გამოყოფილი დაქარაგმებული ასოები (𐌆𐌗) (თ^რა). მათში ვგულისხმობთ
საკუთარ სახელს. ეს დაქარაგმებული ასოები შეიძლება ამოიხსნას როგორც
სახელი „თულაა“. სახელი თულაა დაკავშირებულია მანგლისის ტაძრის ის-
ტორიასთან, იგი მოხსენებულია ქუთაისის საისტორიო მუზეუმში დაცული
ხელნაწერის (№ 19) ანდერძში: „დაიწერა წმინდაა ესე წიგნი
მანგლისს, ბრძანებითა ჩემითა საყოფელსა ძლევა შემოსილი-
სა ძელისა ცხოვრებისასა მღდელთ მოძღურობასა ანტონი
ეპისკოპოსისა თულაისა ძისასა... ქორონიკონი იყო სჰ“
(267 + 780 = 1047 წ.)⁵.

წარწერის პირველ სტრიქონში ბოლო სამი დაქარაგმებული ასო ს^რს^ლ
(ს^რლი) შესაძლოა გაიხსნას არა როგორც „სული“, როგორც ჩვეულებრივად
იხსნება ეს ადგილი, არამედ, როგორც „სულკურთხეული“.

ამგვარი ძლიერი და თითქოს არაკანონზომიერი დაქარაგმების შემთხვე-
ვები მრავალია, მაგალითად შიომღვიმის მონასტრის 1227—1230 წ. საბუთის
(საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი AD № 1)
მინაწერებში ნათქვამია: ა) „ქ. ამის ჩემისა ძმისა და ღთს გრივოლ ქართ-
ლისა ერისთვისა...“ ბ) ქ. ესე ვითა პატრონსა და ღთსა მამასა ჩემსა უბრძა-
ნებია და შეუწირავს...“

ges Asiatiques, t. 1, გვ. 255—266, (ცალკე ანაბეჭდი გვ. 1—9) SPb., 1852 წ.

1859 წ. მ. ბროსე აქვეყნებს ამ წარწერის წაკითხვას ხელმეორედ, მაგრამ უცვლელად:
„Seigneur, souviens-toi de l'âme de Chalwa et de Costantī Ghodomis-Dze“; ე. ი. უფა-
ლო, მოიგსენე სული შალვა კოსტანტი ღოდომის ძეთა“ (მ. ბროსეს შენიშვნები წიგნში:
J. Bartholomaei — „Lettres numismatiques et archéologiques, relatives à la Transcau-
casie“, SPb., 1859, გვ. 115—116).

² Е. Тақайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып.
IV, თბილისი, 1913, გვ. 136—137.

³ ა. შანიძე, კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ, „მიმოხილველი“, I, თბილისი,
1926, გვ. 224—226.

⁴ იქვე, გვ. 226.

⁵ (აგრეთვე ხელნაწერში № 20—1048 წ.); იხ. ქუთ. სახ. ისტ. მუზ. ხელნაწ. აღწერ. I,
შედგ. ე. ნიკოლაძის მიერ, გვ. 94, 99, თბ. 1953; თ. ყორღანია, ქრონიკები, I,
გვ. 191, 193, თბ. 1893.

მოყვანილი დაქარაგმებული სიტყვები „ლტს“ და „ლტსა“ ჩვეულებრივ იხსნება, როგორც „ღმრთისა“ და „ღმერთსა“⁶, მაგრამ კონტექსტის მიხედვით უნდა ამოიხსნას როგორც „ღმერთშემოსილისა“ და „ღმერთშემოსილსა“.

გამოთქმულ მოსაზრებათა შედეგად, მანგლისის ტაძრის წარწერის პირველი ნაწილი შეიძლება შემდეგი სახით წავიკითხოთ: „ქ. უფალო მოიჯსენე სულკურთხეული ღოდომას ძე თულაჲ“...

ამის შემდეგ მოყვანილია დაქარაგმებული ასოები **ჰ-ს-ჩ-ჰ-ღ-ს-ღ-რ-ღ-ღ-ღ** (შ-ჰ-ვ-ნ-კ-ო-ს-ტ-ნ-ტ-ი). ასოთა ამ ჯგუფის ამოხსნა წარწერის ტექსტის პირველი ნაწილის ტრადიციული გაშიფრვის დროს არღვევს მთელი წარწერის გრამატიკულ წყობას, და მოყვანილი დაქარაგმებული ადგილის არსებული წაკითხვები სამეცნიერო ლიტერატურაში საეჭვოდაა მიჩნეული.

წარწერის დასაწყისის ზემოთ დასახელებული ახლებური ამოხსნა გვიკარნახებს, რომ მის მეორე ნაწილში მოცემული იქნება ხსენებული „თულაჲ“-ს ვინაობა და ტიტული, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია წარწერებში. ამ თვალსაზრისით შესაძლოა ბოლო ოთხი დაქარაგმებული ასო **ღ-რ-ღ-ღ** (ტ-ნ-ტ-ი) ამოიხსნას, როგორც ტიტული „ტანუტერი“, რომელიც შიგადაშიგ გვხვდება ადრინდელ წარწერებში.

აკად. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ: „უკანასკნელი ოთხი ასო ტ-ნ-ტ-ი შეიძლება ამ შემთხვევაში ტანუტერის სახელობით ფორმად მიგვეჩინა, მაგრამ გაძნელებოდა მის წინ მდგომ ასოებიდან ისეთი ჯგუფების მიღება, რომ აზრიანი წინადადება მიგველო“⁷.

აღნიშნული მოსაზრება, წარწერის დასაწყისის ახლებური წაკითხვისა და მთელი წარწერის აქ წარმოდგენილი წყობის დროს აღარ გვევლინება ხელშემშლელ გარემოებად.

ბოლო ოთხი დაქარაგმებული ასოს გამოყოფა ცალკე სიტყვად კანონზომიერია, ვინაიდან მათ წინ განლაგებული სამი ასოც **ჰ-ღ-ს** (კ-ო-ს) დაქარაგმებულია და საფიქრებელია, რომ დამწერი დაქარაგმებდა ამ სამი ასოთი ნაგულისხმევ სიტყვას და მის წინ დაწერილ სიტყვასაც. ასოთა დარჩენილი ჯგუფი **ჰ-ს-ჩ-ჰ-ღ-ს** (შ-ჰ-ვ-ნ-კ-ო-ს) უნდა აღნიშნავდეს იმ ადგილისა თუ მხარის დასახელებას, რომლის ტანუტერი იყო წარწერაში მოხსენებული „თულაჲ“. ასოთა ეს ჯგუფი შესაძლოა იხსნებოდეს, როგორც დასახელება „შაჰვან-კოჟრის“, ამ შემთხვევაში წარწერის მთელი ტექსტი შემდეგ სახეს მიიღებს:

„ქ. უფალო მოიჯსენე სულკურთხეული
ღოდომას ძე თულაჲ
შაჰვან-კოჟრის ტანუტერი“.

მართალია „კოჟორი“ (კოჟრის ციხე და დაბა) ადრეულ საბუთებში დღემდე არ ჩანს, იგი პირველად გვხვდება ამ დასახელებით 1338 წლის

⁶ თ. ქორდანი, საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თბილისი, 1896, გვ. 56.

⁷ ა. შანიძე, კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ, „მომზილველი“, I, თბილისი, 1926, გვ. 225.

საბუთში⁸, მაგრამ როგორც აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი—„კოჯორი, საფიქრებელია, დაბას აქ ძველადვე ერქვა“⁹.

ცხადია, რომ ადრევე არსებობდა „კოჯორის ციხე“ (იგივე აგარათა ციხე) თუმცა ამ დასახელებით იგი ჯერჯერობით საბუთებით ჭარ არის ცნობილი.


როგორც ჩანს, აქ ადრიდანვე უნდა ყოფილიყო აგრეთვე ქართველ მეფეთა საზაფხულო სადგომიც¹⁰.

თუ მანგლისის გარჩეულ წარწერაში ამოვიკითხავთ დასახელებას „კოჯორის“, ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულ სინამდვილეს.

დასახელება „შაჰვანი“¹¹, რომელიც იხსენება „კოჯორის“ წინ დაწერილ დაქარაგმებულ სიტყვაში, უნდა აღნიშნავდეს საორბელიანოს სამფლობელოს ნაწილს, რომელიც კოჯორთან ერთად შეადგენს ერთ სამამასახლისოს (სატანუტეროს).

სიტყვა „შაჰვანი“ ჩვენ მიერ წარმოდგენილია სხვა გეოგრაფიულ დასახელებათა ანალოგიით, ჰიპოტეზის სახით.

2. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის სარკმლის თავსართზე მოთავსებულია



სურ. 2

მცირე ერთსტრიქონიანი წარწერა, სტრიქონის ზემოთ ჩამატებულია ერთი ასო; წარწერის უკანასკნელი ასო დაზიანებულია.

⁸ საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბილისი, 1909, გვ. 8—9; ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმთა, „მომომხილველი“, წ. II, თბილისი, 1951.

⁹ ნ. ბერძენიშვილი, იგივე ნაშრომი, გვ. 38—39 და შემდ.

¹⁰ იქვე.

ამ წარწერის წაკითხვისას მკვლევარნი, გარდა მ. ბროსესი¹¹, გამოდიოდნენ შემდეგი გადმონაწერიდან:

✠ 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆

მოყვანილ გადმონაწერზე დაყრდნობით ლიტერატურაში წარმოდგენილია წარწერის შემდეგი წაკითხვა:

- ე. თაყაიშვილი — „ქრისტე შეიწყალე აბულირა“¹².
ა. შანიძე — „ქრისტე შეიწყალე აბლირა“¹³,

წარწერის შემოწმებამ ახლო მანძილზე ნათელყო, რომ წინათ გამოქვეყნებული გადმონაწერები არ არის სწორი, სახელდობრ: 1) სტრიქონის ზემოთ ჩამატებული ასო არის არა 𐌆 (ი), არამედ 𐌆 (ზ) და 2) უკანასკნელი ასო არის არა 𐌆 (ა), არამედ 𐌆 (დ), რომლის მარჯვენა კიდე ნაწილობრივ დაზიანებულია ქვის ჩამოტეხის გამო. ორივე ეს ასო ნათლად ჩანს მოყვანილ ფოტოზე, რომელიც გადაღებულია ხარაჩოიდან ახლო მანძილზე თ. თოდუას მიერ (სურ. 2).

საყურადღებოა ისიც, რომ წარწერის ბოლო მარცვალს ქარაგმის ნიშანი უზის; ეს გარემოებაც მოწმობს, რომ აქ დაქარაგმებასთან უნდა გვქონდეს საქმე. მაშასადამე წარწერა მთლიანად ასეთ სახეს იღებს:

✠ 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆

რაც უნდა იხსნებოდეს შემდეგნაირად:

„ქრისტე შეიწყალე აბულგარდ“.

მსგავსი სახელები გვხვდება ადრინდელ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში და საბუთებში: ცნობილი არიან, მაგალითად: აბულარბი, აბულარბი¹⁵, აბულერიო-აბულჰერიო¹⁶, აბულახტარი¹⁷.

¹¹ მ. ბროსეს გადმონაწერით: ✠ 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆 𐌆, რასაც იგი კითხვობს შემდეგი სახით: „ქრისტე შეიწყალე აბულიძეს“ — „Christ, aie pitié d'Aboulidzé“. (იხ. M. Brosset — Essai de déchiffrement des inscriptions de l'église de Manglis, Mélanges Asiatiques, t. I, გვ. 252—256 (ცალკე ანაბეჭდი, გვ. 1—9), SPb., 1852 წ., მისივე შენიშვნები წიგნში — J. Bartholomaei, Lettres numismatiques et archéologiques relatives à la Transcaucasie, SPb., 1859, გვ. 4).

¹² Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, თბილისი, 1913, გვ. 136.

¹³ ა. შანიძე, კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ, „მიმომხილველი“, I, თბილისი, 1926, გვ. 226.

¹⁴ მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, გვ. 404.

¹⁵ მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურ და კულტურულ ცნობებებში, თბ., 1954, გვ. 30.

¹⁶ საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, II ფონდი, ტ. IV, საბ. 19.

¹⁷ კ. ზაქარაია, დიღომი, XI საუკ. პირვ. მეოთხედის ხუროთმოძღვრული აგლი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVII-ბ, თბ., 1953, გვ. 100



ვინ უნდა იყოს წარწერაში მოხსენებული აბულგარდი? გადაჭრით რისამე თქმა ძნელია, მაგრამ რადგან რაიონი, სადაც აგებულია ტაძარი, ისტორიულად შედიოდა ორბელიანების სამფლობელოში, იქნებ ის ამ გვარის წარმომადგენელი იყოს. ყოველ შემთხვევაში ეს უნდა იყოს სახელი იმ პირისა, რომელიც ახლოა დაკავშირებული ტაძრის მშენებლობასთან, იქნებ თვით უშუალო ამშენებლისაც, მაგრამ არავითარი სხვა საბუთი მოხსენებული პირის ვინაობის დაზუსტებისათვის ჩვენ არ გვაქვს.

3. ტაძრის სამხრეთის სტოას შესასვლელის თაღზე მოთავსებულია დიდი წარწერა, რომელიც ნაწილობრივ დაზიანებულია თავსა და ბოლოში, მაგრამ შერჩენილი ნაწილი მაინც იკითხება. წარწერიანი თაღის სიგრძე 420 სმ, ასოების სიმაღლე — 7,5 სმ, სახელის აღმნიშვნელიასოს სიმაღლე კი 9 სმ.

საქართველოს ენციკლოპედია

სურ. 3

აკად. ა. შანიძეს მოყვანილი აქვს ამ წარწერის შემდეგი გადმონაწერი და წაკითხვა¹⁸.

[აჟ]ღუნ იძუ ზაქ[აღუნ]უნ ღუ ყუნუნ ზიჰონს[უ]რ[ი]ონს

გ. ი. „მეფობასა ღუთივ დამყარებულისა გიორგი ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსისა?“

ამ წარწერის ადგილზე გარჩევისა და ერმაკოვისეული ფოტოს მოხმარების შედეგად წარწერა ცოტა შეცვლილი სახით წარმოგვიდგება, სახელდობრ:

...[აჟ]ღუნ იძუ ზაქ[აღუნ]უნ ღუ ყუნუნ ზიჰონს[უ]რ[ი]ონს

წარწერის დასაწყისი სრულიად გადასულია ქვის დაშლის გამო და არ ირჩევა, მაგრამ ტექსტის მიხედვით იქნებ შესაძლო იყოს ამ წარწერის აღდგენა შემდეგი სახით:

„[ქ სრულ იქმნა ესე სტოა (?)] მეფობასა ღმრთივ დამყარებულისა გიორგი ყოვლისა აღმოსავლეთისა [თუთმპყრობელისასა] (?)...“

¹⁸ ა. შანიძე. კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ, „მომომხილველი“, I, თბ., 1926, გვ. 227—228.

არავითარი კვალი ქორონიკონის აღმნიშვნელი ასოებისა არ შერჩენილა. ტაძრის გარე კედლებზე სხვა წარწერები აღარ შენახულა, დანარჩენი წარწერები მოთავსებულია სამხრეთისა და დასავლეთის ეკვდერების შიგნით.

ტაძრის სამხრეთის სტოაში მოთავსებულია რამდენიმე წარწერა, რომელთაგან ზოგი ძლიერ არის დაზიანებული, ზოგი კი მთლიანად არის ჩამოთლილი ტაძრის რესტავრაციის დროს XIX ს. დამლევს.

4. სამხრეთის სტოას აღმოსავლეთის საყრდენზე მოთავსებულია ცხრა-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. წარწერის სიმაღლე 48 სმ, სიგანე—42 სმ, ასოების სიმაღლე—4,5 სმ.

სტონ
იუსტინა
72:8122
1707575
112887215
1085070426
108711781170
185875070
1085070426

სურ. 4

აკად. ა. შანიძე ამ წარწერას შემდეგი სახით ხსნის:¹⁹

.....თნ
.....66

„...იბ დღესა იოვანე მოწამისასა (?) [ან: დღე არს იოვანე მოწამისაა (?)] დავდევ ალაბი ღამის თევით, ჟამის წირვით. ვინ შეუცვალოს ცოდვათამცა მისთა გარდიჯდის.

წარწერის ხანგრძლივი შესწავლის შედეგად შესაძლებლად მიგვაჩნია, წამოვაცენოთ რამდენიმე ცვლილება ზემოთ მოყვანილ გადმონაწერში და წაკითხვაში.

¹⁹ ა. შანიძე. კვლავ მანგლისის ტაძრის წარწერების შესახებ, „მომომხილველი“, თბილისი, 1926, გვ. 230.

პირველი სტრიქონი მთავრდება **ნი** (ათნ) ასოებით და რჩება ზედწერა
ლი კიდევ ერთი-ორი ასოსთვის. შერჩენილი ასოები „ათნ“ შეიძლება გაი-
ხსნას როგორც საკუთარი სახელი, რასაც ადასტურებს მეორე სტრიქონის
შინაარსი (შეგვიძლიან ვივარაუდოთ მაგალითად სახელი „ათნ[ასე]“).

მეორე სტრიქონის ბოლო ასოები არის არა **ნი** (ნი), არამედ **ნო**
(ნო). გარდა ამისა, ამ ასოების წინ ირჩევა ასოების ჯგუფი **ყსჟფ**, (კჰსმნ),
რაც უნდა წარმოადგენდეს დაბოლოებას სიტყვისა „ებისკობოსმან“. ამიტომ შე-
საძლოდ მიგვაჩნია მეორე სტრიქონის დასაწყისში ვივარაუდოთ დაქარაგმებუ-
ლი სიტყვა „მანგლელ“. ამგვარად, მეორე სტრიქონი შეიძლება წაიკითხოს
შემდეგი სახით:

[მანგლელ] [ების] კობოსმან ნო“

მესამე სტრიქონზე იკითხება:..... **ნი:შისს**

ე. ი. „..... იბ დღესა ს...“

მეოთხე სტრიქონზე შერჩენილია:..... **ნიჟნჟქ**

მეხუთე სტრიქონზე იკითხება: **ნიქსა შჟჟნი**

რადგან მესამე სტრიქონზე შერჩენილია რიცხვი **ნი** (იბ) ე. ი. 12,
და სიტყვა **შის** ე. ი. „დღესა“, მეორე სტრიქონზე კი დაგვრჩა დაუ-
მთავრებელი სიტყვა, რომელიც იწყება ასოებით **ნი** (ნო), საფიქრებელი
იყო, რომ აქ უნდა ყოფილიყო აღნიშნული თვე — ნოემბერი. ეს ვარაუდი
სავსებით მართლდება, ვინაიდან 12 ნოემბერს არის დღე ალექსანდრიის
პატრიარქისა იოანე მოწყალისა. მაშასადამე მესამე, მეოთხე და მეხუთე
სტრიქონების ტექსტი შემდეგი სახით ლაგდება:

3. [---]: **ნი:შისს**

3. [---] **ნიჟნჟქ**

5. **ნიქსა შჟჟნი**

ე. ი. [ბერსა] იბ დღესა ს
[ხიერისა?] იოვანე მოწ
ყალისაჲ დავდეგ ალაბ“

შემდეგი სტრიქონების წაკითხვა უცვლელად რჩება:
მეექვსე სტრიქონი:

ნი იჰს იჟი ყჰს

ე. ი. „ი ლამის თვეით ჟამის“

მეშვიდე სტრიქონი:

ნიქსა იჟი აჰს ინი ჟი

ე. ი. „[წირ]ვით რქს (?) ვინ შეუ

მერვე სტრიქონი:

ნიქსა იჟი იჟი

ე. ი. „[ცვ]ალოს ცოდვათამ

მეცხრე სტრიქონი:

ნიქსა იჟი იჟი აჰს

ე. ი. „[ც]ა მისთა გარდაიგდის“

ამრიგად, ეს წარწერა მთლიანად შემდეგ სახეს იღებს:

1. ----- ჯიჲ --
2. ----- ხუსჲნიჲ
3. ----- : 74:ჲის ს
4. ----- 70:ჲნი ჰჲ
5. [ქონა ზჲჲ ჯიჲ
6. [ი იჲს იჲი ყჲს
7. [ქიჲ]ჲიჲი ჰჲს 74:ჲი
8. [ჯიჲ]ჲს ცჲიჲიჲი
9. [ჯიჲ]ჲიჲი ჰჲს-ჲიჲი ჰჲს-ჲიჲი

ე. ი.ათნ[ასე](?)
 [მანგლელ] [ეზისკო]პოსმან ნო
 [ენბერსა] იბ, დღესა სა
 [ხიერისა?] იოვანე მოწ
 [ესლისა] დავდეგ აღაბ
 ი ლამისთევით, ჟამის
 [წირვით] რკს(?), ვინ შეუ
 [ცვა]ლოს, ცოდვათამ
 [ც]ი მისთა გარდაიჯდის

5. სამხრეთის სტოაში, სტოადან ეკლესიაში შესასვლელ კართან, მარცხ-
 ნივ მოთავსებულია ორსტრიქონიანი წარწერა. წარწერის სიმაღლეა 12 სმ,
 სიგრძე—35,5 სმ, ასოების სიმაღლე—3,8—4 სმ.

დი. . . ს. . .
 ს . . .

სურ. 5

დი. . . ს. . .
 ს . . .

ე. ი. „უფალო განუსვენე სულსა საყვარელისსა, ამინ“.
 ასე კითხულობს წარწერას ე. თაყაიშვილი²⁰ და, ამგვარად წაკითხვას
 მართებულად თვლის ა. შანიძე²¹.

6. სამხრეთის სტოაში კედელზე მოთავსებულია ექვსსტრიქონიანი წარ-
 წერა. წარწერის სიმაღლე—45 სმ, სიგანე—73 სმ, ასოების სიმაღლე—4 სმ.

²⁰ E. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки
 вып. IV, Тб., 1913, გვ. 137.

²¹ ა. შანიძე, კვლევა მანგლისის ტაძრის წარწერების შესახებ, „მომომზილველი“, I,
 თბილისი, 1926, გვ. 228.

მ. ბოლსეს მიერ გამოქვეყნებულია ამ წარწერის ორი განსხვავებული წაკითხვა:
 1850 წელს:

ԹՈՆՇ ԲՈՎՄ ԽՏԻԻԹ Կ ԽԻ
 ՂԵՆԵՆՇ ԸՈՍԻ ԹՂ ԴԻԻՆՍԻՆ
 ՆԿՇՆԲ ԽԻԹ ԽԹԻԴ ԴԻԴՆԻԿՆ
 ԿԸԴԻ ԸԲԻՆՍԻՆԿՆԿՆԵՆՇ ԴՆՆ
 ՏԹԻԹ ԸՁՏԸ ՅՆԹԸ ՂԽ
 ԹԻԿԹՆ: ԽՂԿՂԿԸՈՐԹ Խ

სურ. 6

ԹՈՆՇ ԲՈՎՄՆ Խ ԲԹԻԻԽԻՆ
 ՂԵՆԵՆՇ ԸՈՍԻ ԹՂ ԴԻԻՆՍԻՆ
 ՆԿՇՆ ԲԽԻԹ ԽԹԻԴ ԴԻԴՆԻԿՆ
 ԿԸԴԻ ԸԲԻՆՍ ԴԻ ՄՈՐՈՐԻՆ
 ԸԹԻԹՇԳԸ ԲՆԹԸ ՂԽ
 ԹԿԹՆ: ԽՂ ՄՂ ԳԸՈՐԹԻՆ

წარწერა რამდენჯერმე გამოქვეყნებული.
 მ. ბროსე წარწერას ორჯერ აქვეყნებს სხვადასხვაგვარი ამოკითხვით;
 1850 წელს იგი იძლევა ამ წარწერის შემდეგ წაკითხვას:

„უფალო, სულიად წმიდაო... მთავარ ან-
 გელოზო, საალაბედ ჩვენისა ძისა-
 ჯ შემისწირავს, ორი დღე მღვდელი ებისკოპოსი
 ჟამი უწიროს ვინ შესცვალოს
 ცოდვთამცა მისთა გარ
 დაიგადოს, ქრისტე შეიწყალე ბალუამ (ცხოვრება, ლიბარიტ?)²²

„უფალო [მოიგეს]ნე სულსა
 საყვარელიძე სულა, ამინ“

„Seigneur, aie pitié de l'âme de Soula Saqwarélidzé, Amen“.
 (M. Brosset—Essai de déchiffrement des inscription de l'église de Manglis,
Mélanges Asiatiques, SPb., 1850, გვ. 4).

1859 წ. მ. ბროსე ამ წარწერის წაკითხვის მეორე ვარიანტს აქვეყნებს: „Seigneur,
 donne la paix à l'âme de Soula Saqwarélidzé, Amen“. ე.ი. „უფალო განუსვენე სულსა სულა
 საყვარელიძის, ამინ!“ (მ. ბროსეს შენიშვნები წიგნში—J. Bartholomaei, *Lettres numis-
 matiques et archéologiques, relatives à la Transcaucasie*, SPb., 1859, გვ. 115).

” „Seigneur, très saint.. archevêque, nous avons offert pour une agape, en
 faveur de notre fils; le prêtre et l'évêque diront la messe pour lui durant deux jours.

1859 წ. იგი აქვეყნებს წაკითხვის მეორე ვარიანტს:²³

„8 ნოემბერსა დღესა მთავარანგელოზთასა
 მე სალაპედ შევსწირე [...]სავეს ყველა ღვდღებისა
 და ეპისკოპოსისათვის, რომელნი ჟამს
 უწირავენ. ვინ შეუცვალოს ცოდვათა
 მისთა გარდაიხდის. ქრისტე შეიწყალე
 ბალუაშ ლიპარიტ“

(თარგმანი ფრანგულით)

ე. თაყაიშვილი შემდეგი სახით ხსნის ამ წარწერას:

„თუესა ნოემბერსა 8 მთავარ-ანგელოზთასა აღაპი თეოდორე ერისთავ
 ვაჩინას ძისაჲ ჟამის წირვით. რაოდენი მღვდელი იყოს, ჟამი უწიროს. ვინ
 შეუცვალოს, ცოდვათამცა მისთა გარდიგდის. ქრისტე შეიწყალე ბალუ(ა)შ“²⁴.

უკანასკნელად ეს წარწერა გამოაქვეყნა ა. შანიძემ, რომელმაც რამდენიმე
 კორექტივი შეიტანა წაკითხვაში, რომელთაგან განსაკუთრებით საყურა-
 დღებოა წარწერის ბოლოში მოხსენებული სახელის წაკითხვა.

„თუესა ნოემბერსა რეასა, (სე. დღესა) მთავარანგელოზთასა აღაპი თეე-
 დორე ერისთავისა ვაჩინაჲს ძისაჲ ჟამის წირვით. რაოდენი მღვდელი იყოს,
 ჟამი უწიროს. ვინ შეუცვალოს, ცოდვათამცა მისთა გარდიგდის! ქრისტე შე-
 იწყალე ბალათურ“²⁵.

როგორც ე. თაყაიშვილის, ისე ა. შანიძის წაკითხვაში მეორე სტრი-
 ქონზე ასოთა ჯგუფი **უჩხინს** გაყოფითაა გახსნილი, ე. ი. ასოთა ამ ჯგუფ-
 ში პირველი ასო **უ** გამოიყოფა ცალკე სიტყვად „ერისთავისა“ („ერისთავ“),
 დარჩენილი ასოები კი იხსნება, როგორც სახელი „ვაჩინაჲს“ („ვაჩინას“).
 ასოთა მოყვანილი ჯგუფის ამგვარი გაყოფა არ უნდა იყოს მართებული,
 საეჭვოა წოდების (ერისთავისა) მოთავსება საკუთარ სახელსა და საგვარეუ-
 ლო სახელს შორის.

სადიკრებელია, რომ ასოთა ეს ჯგუფი **უჩხინს** მთლიანად წარმოად-
 გენს მხოლოდ სახელს და იხსნება, როგორც საკუთარი სახელი „ევჩინი“ =
 ევჯინი = ევგენი²⁶.

Quiconque changera ceci paiera pour ses péchés. Christ aie pitié de Baghou(ach et
 de Tzkhow)r(éba); ou de Baghou(ach—Lipar(it)“.

(M. Brosset—Essai de déchiffrement des inscriptions de l'église de Man-
 glis, Mélanges Asiatiques, SPb., 1850, გვ. 7—8).

²³ „Au 8 novembre, fête des Archanges, j'ai fait une offrande pour une agape,
 en faveur de... pour tous les prêtres et évêque qui célébreront la messe. Celui qui
 changera ceci paiera pour ses péchés. Christ, aie pitié de Baghouach Liparit“.

(მ. ბროსეს შენიშვნები წიგნში — J. Bartholomaei, Lettres numismatiques et ar-
 chéologiques, relatives à la Transcaucasie, SPb., 1859 გვ. 116).

²⁴ Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып.
 IV, Тб. 1913, გვ. 133—134;

²⁵ ა. შანიძე, კვლავ მანგლისის ტაძრის წარწერების შესახებ, „ნიმომნილველი“
 I, თბილისი, 1926, გვ. 231.

²⁶ დაწერილობა ევჯენი იხ. „სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა“, თბილისი,
 1947. გვ. 271.

წარწერის უკანასკნელ სიტყვას მ. ბროსე და ე. თაყაიშვილი კითხულობენ—„ბალუაშ“, აკად. ა. შანიძე კი სახელად „ბალათურ“ და აქ სხვა წაკითხვა შეუძლებელია. **ⴌ**(თ) და **ⴑ**(რ) ასოების დაწერილობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

მოყვანილ მოსაზრებათა შედეგად ეს წარწერა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

„თუესა ნოემბერსა **ⴌ**, (დღესა) მთავარ ანგელოზთასა ალაპი თევდორე ეგჩინის ძისა-
ჲ ჟამის წირვით. რაოდენი მღვდელი იყოს
ჟამი უწიროს. ვინ შეუცვალოს
ცოდებათამცა მისთა გარ-
დაიკდის. ქრისტე შეიწყალე ბალათ[უ]რ“.

7. ამავე სამხრეთის სტოაში, მის ჩრდილოეთის კედელზე შერჩენილია რამდენიმე ასო დიდი წარწერისა, რომელიც ჩამოთლილ იქნა XIX ს. რესტავრაციის დროს.

წარწერიდან გაირჩევა მხოლოდ
ⴌ + **ⴑ** -----
-----ე(- -)
სურ. 7. ე. ი. „ქრისტე -ე“

8. ამავე კედელზე შესასვლელის მარცხნივ არის მეორე ჩამოთლილი წარწერა, რომლიდანაც ახლა გაირჩევა მხოლოდ ცალკე ასოების ფრაგმენტები.

დასავლეთის კარიბჭეში შეიმჩნევა ორი წარწერა, მაგრამ ორივე იმდენადაა დაზიანებული ქვის გამოფიტვის გამო, რომ ტექსტის დადგენა ვერ ხერხდება.

9. შესასვლელის სამხრეთით სვეტის თავზე, არსებულ წარწერიდან გაირჩევა მხოლოდ ცალკე ასოები. წარწერა ხუთსტრიქონიანი ყოფილა.

10. სვეტის თავზე, შესასვლელის ჩრდილოეთით მოთავსებულ წარწერიდან გაირჩევა მხოლოდ მცირე ნაწყვეტები. ა. შანიძის წაკითხვით პირველ სტრიქონზეა²⁷:

ⴑ ⴌ ⴑ ⴑ ⴑ

ე. ი. „მანგლელი ებისკოპოსი“

11. გვიანი წარწერაა მოთავსებული ეკლესიის გალავანში აღმოსავლეთის მხრიდან შესასვლელის მარჯვნივ, ზემოთ. წარწერა შესრულებულია მხედრული დამწერლობით, მეტად მდარე და ულამაზო ხელით (სურ. 9).

სურ. 8

²⁷ ა. შანიძე კვლავ მანგლისის ტაძრის წარწერების შესახებ, „მიმოძიებელი“ I, თბილისი, 1926, გვ. 234.

ქორეიწლე
ამისი ამშენებელი
ლი მნგლელი
ეთისკობოზი (!) არსენ ოსტატი
ი თებერ ვ ქს ტნე

ქ. ღთო: შვიწლე
ამისი: ამშენებელი
ლი. მნგლელი.
ეთისკობოზი (!) არსენ ოსტატი
ი თებერ ვ ქს ტნე

სურ. 9

ე. ი. „ქ. ღმერთო შვიწყალე ამისი ამშენებელი მანგლელი [ი] ებისკობოზი არსენ ოსტატი. თებერ[ვალსა] გ, ქორონიკონს[ა] ტნე. (1667 წ.)

ეს წარწერა უნდა ეხებოდეს გალავანში შესასვლელ კარიბჭის აშენებას. პუბლიკაციებში თარიღი სხვადასხვაგვარად იყო მოყვანილი.

გარდა ზემოთ მოყვანილი, დღეისთვის არსებული წარწერებისა მანგლისის ტაძარზე ყოფილა სხვა წარწერებიც, რომლებიც ცნობილია სხვადასხვა პუბლიკაციებით (ბროსე, თაყაიშვილი). ეს წარწერები დაღუპულია ზოგი ტაძრის რესტავრაციის დროს XIX ს-ში, ზოგიც სხვა მიზეზებით²⁸.

მანგლისის ტაძრის წარწერების გარჩევის სისრულისათვის მიზანშეწონილია ყველა ამ წარწერის მოყვანა.

12. საეცებით დაკარგულ წარწერათა შორის ითვლებოდა წარწერა სამხრეთის სტოადან ეკლესიაში შესასვლელის კარის თაღზე. ეს წარწერა მოყვანილი აქვს ბროსეს:

--- ზსც ლჰს სყჟჰსც ლიჟჟა ჭიხინს სჰ

რასაც ბროსე ასე ხსნის:

(ქ. იქნა დი)დისა ამის საყდრისა აღშენება ქორონიკონს სმ²⁹.

1948 წელს, მანგლისში ყოფნის დროს, ტაძრის გალავნის შიგნით, შესასვლელ-სამრეკლოსთან, ენახეთ მოჩუქურთმებული ქვა ოთხი ასომთავრული ასოთი(ახლა ინახება საქ. ხელოვნების მუზეუმში, ნახა და ჩამოიტანა მ. ჩხიკვაძემ). (სურ. 10). ქვის პროფილი მოწმობს, რომ იგი თაღისაა. მანგლისის ტაძრის

²⁸ მ. დვალის აღნიშნავს კიდევ ერთ ჩამოთლილ წარწერის კვალს ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის სარკმლის ზემოთ, კუთხეში, აბულგარდის წარწერის სამხრეთით.

²⁹ --- a été construite cette grande église c'était l'année 240—1020 (მ. ბროსეს შენიშვნები წიგნში—J. Bartholomaei, Lettres numismatiques et archéologiques, relatives à la Transcaucasie, SPb., 1859, გვ. 116; 1850 წელს მ. ბროსემ გამოაქვეყნა ამავე წარწერის განსხვავებული წაკითხვა:

„... ქ... [დი]დისა ამის საყდარსა აღაშენა. ქორონიკონსა სმ“ „C-- a bâti cette grande église, en l'année pascalle 240“

(M. Brosset — Essai de déchiffrement des inscriptions de l'église de Manglis, Mélanges Asiatiques; SPb., 1850, გვ. 6).

ცნობილ, დაკარგულ წარწერებთან დაპირისპირებამ ცხადყო, რომ ნაპოვნ ქვაზე წარმოადგენს თალის, ზემოთ მოყვანილი წარწერის ნაწილს.



სურ. 10

--- შსსკ ---

ე. ი. "...[ა]მის საყ[დრისა]..."

1954 წელს, მაისში მანგლისს გაემგზავრა საქ. სსრ მეცნ. აკად. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიცია. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის სადგომის დათვალიერებისას ვნახეთ მეორე ქვა, რომელიც 1948 წელს ნაპოვნი ქვის ანალოგიურია თავისი პროფილით და ორნამენტული მორთულობით. ეს ქვაც თალისაა და, რაც მთავარია, მასზეც შერჩენილია წარწერის ნაწილი (სურ. 11).

ახლად ნაპოვნ ქვაზე არსებული წარწერის ნაშთის დაპირისპირებამ ამ ტაძრის ცნობილ წარწერებთან გამოააშკარავა, რომ ეს ფრაგმენტიც ზემოთ მოყვანილი წარწერის ნაწილია და წინა ფრაგმენტს აესებს (იხ. სურ. 12—წარწერის მონახაზი და ქვის პროფილი).

--- [ა]მის საყ[დრისა] ---

ე. ი. „...ა შმიდისა ამის საყ[დრისა]...“


ამრიგად, თარიღის შემცველ ამ წარწერიდან, რომელიც დღემდე სავსებით დაღუპულად ითვლებოდა, უკვე მოგვეპოვება ორი ფრაგმენტი; მოპოვებული ფრაგმენტები და მ. ბროსეს პირად არქივში ლენინგრადში დაცული

მონახაზი ამ წარწერისა (იხ. სურ. 13),³⁰,³¹ უფლებას გვაძლევენ წარწერის
წაკითხვა ცოტა შევასხვაფეროთ, სახელდობრ, უფრო სწორი იქნებოდა მისი
აღდგენა შემდეგი სახით:

„ქმ --- ხრ --- [სრულ იქმნა] წმილისა ამის საყდრისა აღშენებაჲ ქორო-
ნიკონსა სმ“ (ე. ი. 1020 წ.).



სურ. 11



ქ ი ს ს ს ს ს ს ს ს


სურ. 12.

³⁰ ამ წარწერის (სურ. 13) და შემდეგი წარწერის ორი მონახაზი (სურ. 14 და 15) მხოლოდ მ. ბროსეს პირად არქივში ლენინგრადში, მანგლისის ტაძრის არქიტექტურისა და ისტორიის მკვლევარის, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის მ. დვალის მიერ (1954—1955 წლებში), რომელმაც დიდი სამუშაო ჩაატარა აღნიშნული არქივის შესწავლის მხრივ. ამნ. მ. დვალმა შეაჯერა მ. ბროსეს არქივში დაცული მონახაზები მის პუბლიკაციებთან და გამოავლინა მათი დამთხვევა გამოქვეყნებულ წარწერებთან.

³¹ ამნ. მ. დვალმა თავახიანად მოგვცა უფლება გვესარგებლა აღნიშნული მონახაზების ფოტოანაბეჭდებით, რისთვისაც უღრმეს ძაღლობას მოვასწენებ.

³¹ მ. ბროსეს შენიშვნა მონახაზზე: „ეს წარწერა მეჩვენება ყოს ყველაზე უფრო

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
არქივთა



სურ. 13

13. სამხრეთის სარკმლის გვირგვინის ქვემოთ მოთავსებული ყოფილა ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა სტრიქონების ნახევარწრიული განლაგებით. წარწერის პირველი სტრიქონი არ იკითხებოდა გაცვეთის გამო.

ეს წარწერაც შეიცავდა ტაძრის მშენებლობის თარიღს და, გარდა ამისა, როგორც ჩანს, მასში უნდა ყოფილიყო აღნიშნული მშენებლის სახელიც, რომელიც გაურკვეველი დარჩა³². მ. ბროსეს ცნობით ასოების სიმაღლე 3 დიუიმს (6,7 სმ) უდრიდა.

მ. ბროსეს წარწერა შემდეგი სახით აქვს გამოქვეყნებული:

...**აღუხსც ცჳოგაბებისაძც ჰუ ჴხაჴაჴ** ...ღირს
ვიქენ **აჩმენეღაზ** წმიდეს **აძეს** **აჴხუხისის** **საზოცჴ**
აზაჴ **სუხისც** **აჴმისც** **აჴაჴი** **აჴაჴ** **აჴაჴ** **აჴაჴ**

ე. ი. „(ქ. სახელითა ღმრთისათა, მეოხებითა ძელისა
ცხოვრებისათა მე გლახაკი...ღირს ვიქმენ
აღმუნებად წმიდისა ამის ეკლესიის სალოცველად
სულისა ჩემისა ქორონიკონი იყო სმ“ (1020 წ.)³³.


ძველი მანგლისის წარწერებში, რადგან ის არის შესასვლელი კარისა; კარიბჭე არის შემდგომი მი ნაგებობა, რადგან ნაწილობრივ ჰუარავს წარწერას, სადაც მე დავსვი* ნიშანი*.

³² როგორც გ. ჩუბინაშვილი და ა. შანიძე აღნიშნავენ, ეს წარწერა ე. თაყაიშვილი ორჯერ აქვს მოყვანილი, რადგან სტრიქონების წინაუკმოდ გამოქვეყნების გამო, ეს წარწერა მას ორ სხვადასხვა წარწერად მიუჩნევია. (Г. Н. Чубинашвили, Заметки о Манглинском храме, საქართველოს მუზეუმის მოამბე; № 1, თბილისი, 1921, გვ. 55; ა. შანიძე, კვლავ მანგლისის ტაძრის წარწერების შესახებ, „იმომონილევი“ I, თბილისი, 1926, გვ. 235).

³³ „Au nom de Dieu, par l'intercession du bois vivifiant, j'ai été jugé digne moi le pauvre... de construire cette sainte église, pour prier pour mon âme. C'était l'année 240“ (1020).

(მ. ბროსეს შენიშვნები ჭიგნში—J. Bartholomaei, Lettres numismatiques et





სურ. 14.



სურ. 15

archéologiques, relatives à la Transcaucasie, SPb., 1859, გვ. 115).

1850 წელს მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებულია ამ წარწერის სხვაგვარი ანოტირება „... ელად სულისა ზემისა... ქვენ აღშენებად წმიდისა ამის ეკლესიისა“

(M. Brosset—Essai de déchiffrement des inscriptions de l'église de Manglis, Mélanges Asiatiques, SPb., 1850, გვ. 5).

მ. ბროსეს პირად არქივში, ლენინგრადში, დაცულია ამ წარწერის ნახაზი, შესრულებული კაზმინის მიერ, რაც საშუალებას გვაძლევს ეს წარწერა წარმოვიდგინოთ (სურ. 14 და 15).

ამონაწერი მონახაზებიდან:

[-----] ითუნტ [] ჭჲლ - ჯ[---]
 [-----] ჭჳთ ახუნტ ცჲახსტ ჭჳ ღხჲჲ [-----]
 [-----] უნ ტიჲჲლ ჭუნტ ჯჳს უჲს - სჲჲ[ღ]
 ჴჲჲ სხსტ ხჳსტ ჭჳჲჲ უჲ სჳ

ქარაგმების გახსნით და ნაკლოვანი ადგილების შევსებით მოგვცემს იმავე წაკითხვას რაც ბროსეს აქვს გამოქვეყნებული.

„(ქ სახელითა) ღმრთისათა [და] მეოხებითა წმიდისა ძელისა ცხოვრებისათა მე გლახაკი[ი - -] [ღირს ვიქმენ აღშენებად წმიდისა ამის ეკლესიისა სალოცველად სულისა ჩემისა. ქორონიკონი იყო სმ“ (240 + 780 = 1020 წ.).

ამგვარად, მანგლისის ტაძრის მშენებლობის დამთავრების თარიღი მოყვანილი ყოფილა ორ წარწერაში სამხრეთის ფასადზე და სამხრეთის შესასვლელში.

14. მაგრამ, გარდა მოყვანილი ორი წარწერისა, რომლებშიც აღნიშნული ყოფილა ტაძრის აშენების თარიღი, ლიტერატურაში ცნობილია თარიღის შემცველი კიდევ ერთი წარწერა. ცნობილია, რომ ეს წარწერიანი ქვა წაღებული ყოფილა მანგლისის ტაძრიდან, მაგრამ, თუ რა ადგილზე იყო იგი ამოკვეთილი თვით ტაძარზე, არ არის გარკვეული.

ზჳლტ უნტ ირტო - - - ჯჲს შტატს - - - ტსტ ჟლს - - -
 ჭჲს სჳ

ე. თაყაიშვილი ამ წარწერის შემდეგ წაკითხვას იძლევა:

„დიდება შენდა ღმერთო... აკურთხეს მთვარისა ჯ თვესა თებერვალსა.....“ ქორონიკონსა სმზ.

და აღნიშნავს: „Короникон соответствуем 1027 году. Поэтому судя, Манглиский храм, начатый в 1020 г., был окончен и освящен в 1027 г.“³⁴

მ. ბროსეს წაკითხვით: „Gloire à toi, Seigneur, - - - - a été consacré au mois de février, le premier jour de la lune, en l'année 247“ = 1027³⁵.

ე. ი. „დიდება შენდა ღმერთო... აკურთხეს თვესა თებერვალსა მთვარისა პირველ დღეს, ქორონიკონსა 247“
 (თარგმანი ფრანგულით).

³⁴ Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки вып. IV, Тбилиси, 1913, გვ. 139.

³⁵ მ. ბროსეს შენიშვნები წიგნში—J. Bartholomaei, Lettres numismatiques et archéologiques, relatives à la Transcaucasie, SPb, 1859, გვ. 116.

შესაძლოა მოყვანილ წარწერის ამოკითხვაში ზოგიერთი კორექტივის შეტანა. მართალია, ყოველივე ეს პირობითი იქნება, რადგან თვით წარწერა აღარ არსებობს, პუბლიკაციის მიხედვით კი არა ჩანს, რამდენად ზუსტადაა შესრულებული გადმონაწერი მისგან.

შეიძლება ვივარაუდოთ ამ წარწერის შემდეგი გახსნა:

„ქ. დიდება შენდა ღმერთო (წმიდა ესე საყდარი) აკურთხეს
მღვდელთმოდგერობასა [.....] თვესა ფებერვალსა [.....]
ქორონიკონსა სმზ“. (1027 წ.).

ეს თარიღი,—1027 წელი—როგორც წარწერიდან სჩანს, აღნიშნავს არა ტაძრის მშენებლობის დამთავრების თარიღს, რაც 1020 წელია, არამედ ტაძრის კურთხევის წელს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1020 და 1027 წლებს შორის სრულდებოდა ეკლესიის შელესვა, მოწყობა და მოხატვა.

15. ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს კედელზე ყოფილა ასომთავრული წარწერა

ქ-ო ქ-ო ს-ო ღ-ო

რომელსაც ბროსე შემდეგი სახით ხსნის:

„ქრისტე შეიწყაღე საბა ბიბილური“³⁶.

ბოლო სიტყვის გახსნა, როგორც ვეარისა „ბიბილური“ ერთი დახედვით თითქოს სწორი უნდა იყოს, მაგრამ აქ იქნებ აღნიშნული იყოს საბას სადაურობა, როგორც მაგალითად—ობიზარი, ხახულარი, ოლთისარი და სხვა, თუ, რა თქმა უნდა, სწორედ იყო გადმოღებული წარწერა.

გარდა ზემოთ მოყვანილი წარწერებისა ლიტერატურაში მოხსენებულია კიდევ რამდენიმე წარწერის ფრაგმენტი.

16. ჩრდილოეთის კედელზე:

ს-ო-ო-ო ღ-ო

„ალაშენა გაბრიელ“—Gabriel a construit³⁷

17. ცალკე ქვაზე

ს-ო- - - - - ღ-ო

„ძლიერი (?) ბაგრატ (?)“³⁸

ცხადია, რომ ამ წარწერის ფრაგმენტების მოცემული წაკითხვა სავსებით პირობითია; **ს-ო** ასოები შეიძლებადა გახსნილიყო აგრეთვე, როგორც „ტაძარი“, „ტაძრის“ და სხვა.

³⁶ M. Brosset. Essai de déchiffrement des inscriptions de l'église de Man-glis, Mélanges Asiatiques SPb., 1850, გვ. 115.

³⁷ M. Brosset. იქვე, გვ. 5; მისივე შენიშვნები წიგნში—J. Bartholomaei Lettres numismatiques et archéologiques, relatives à la Transcaucasie, SPb., 1859, გვ. 115.

³⁸ *Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, Тбилиси, 1913, გვ. 139.

* * *

გარდა ზემოთ გარჩეული საერო ხასიათის წარწერებისა, მოვიყვანთ აგრეთვე საღვთისმეტყველო და სიუჟეტურ წარწერთა რამდენიმე ფრაგმენტს, რომლებიც შემორჩენილია გუმბათის ყელის მოხატულობაზე, რამდენადაც ამ ფრაგმენტებმა შეიძლება მოგვცეს საყურადღებო ვარიანტი ამა თუ იმ საღვთისმეტყველო ტექსტისა.

გუმბათის კამარაში გამოსახულია ჯვარი. მის ქვემოთ ჯვრის აღმოსავლეთის მკლავის ქვეშ გამოსახული არის ორი, ერთმანეთისაკენ მიმართული მთავარანგელოზი ფრენის პოზაში და მათ პირდაპირ დასავლეთის მკლავის ქვეშ მთავარანგელოზების ანალოგიური ჯგუფი.

მთავარანგელოზების აღმოსავლეთის ჯგუფში, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გამოსახულ მთავარანგელოზს ორჯერ აქვს მიწერილი სახელი მოდრეკილ მუხლის ზემოთ და მხრის ქვემოთ:

ა-ფ-ზ; ა-ფ-ზ

ე. ი. „რაფიელ“

სარკმელებს შორის გამოსახული არიან წმინდანები. აღმოსავლეთის სარკმლის ჩრდილოეთით გამოსახულია მხოლოდ იესო ქრისტე. დანარჩენ სარკმელებს შორის კი წმინდანების ორ-ორი ფიგურაა. წმინდანები სარკმელებს შორის განლაგებული არიან შემდეგი რიგით:

წარწერები წმინდანების გამოსახულებებთან.

I 1, 2; II 3, 4; III 5, 6; IV 7, 8; V 9, 10; VI 11³⁹

1) **ა-ფ-ზ** — ა-ფ: ნაძიხს

ა-ფ-ზ-ა: ე. ი. „წმიდაა დოხანე ნათლისმცემელა“.

2) **ა-ფ-ზ** — ა-ფ: ნაძიხს, ე. ი. „წმიდაა ესაია“

გრაფიკულად ყოფილა დიდი ტექსტი, რომელიც ძლიერაა დაზიანებული და ახლა მხოლოდ შემდეგნაირად დარჩენილი:

	-----	-----
	-----	-----
	-----	-----
	-----	-----
ა-ფ	ა-ფ	ეს
ა-ფ	ა-ფ	და
ა-ფ	ა-ფ	ავი
ა-ფ-ზ	ა-ფ-ზ	ძირთა
ა-ფ-ზ	ა-ფ-ზ	გან მის[თ]
ა-ფ-ზ	ა-ფ-ზ	ა გამო
ა-ფ-ზ	ა-ფ-ზ	ვიდეს
ა-ფ-ზ	ა-ფ-ზ	დ(ა) სუფ
ა-ფ-ზ	ა-ფ-ზ	ევაა

სურ. 16.

³⁹ რომელიც ციფრებით აღნიშნულია სარკმელები

მოყვანილი ტექსტი აღებულია ესაიას წინასწარმეტყველებიდან (ცხოვეთება)
თა, 11/1)

დაბადების 1884 წ. გამოცემით

„და გამოვიდეს კუჭრთხი ძირისაგან იესესსა და ყვავილი ძირისაგან აღ-
მოვდეს“.

3) **წა - აიჰჰ** ე. ი. „წმიდაჲ ჲერემია“.

გრაგნილზე შემდეგი ტექსტია შენახული:

ააუჲ	აა უი	უფალო ვი
ააიუ,	საი უ	სმინე (?) ჰ (?)
	-----	-----
	-----	-----
	-----	-----
აი	--- აიანი	--- ინე
აანიანი	აანი ანი	ლნი ჩვენი
ანიანი	ანი ანი	ნი და მ
აანიანი	აანიანი	კვლავ
აანიანი	აანიანი	ი უფლისა
აანიანი	აანიანი	ა ვისგან
აი	--- აი	----- ოე
	-----	-----

სურ. 17.

4) **წა - ა - ა** ე. ი. „წმიდაჲ ე[ზექიელ]“ (?)

გრაგნილზე მოყვანილია შემდეგი ტექსტი:

აანიანი	აანიანი	და ვიხ
აანიანი	აანიანი	ილე მე
აანიანი	აანიანი	ბჭე და
აანიანი	აანიანი	ვშულ
	-----	-----
	-----	-----
	-----	-----

აანიანი

აანიანი

მხოლ

აანიანი

აანიანი

ომა[ნი]

აანიანი

აანიანი

ღმერთმან

აანიანი

სურ. 18

5) --- ადრე ე. ი. „წმიდაჲ დონა“.
გრაგნილზე მოყვანილი ტექსტი:

ბუ ყუ	ბუ შუ	და შე
ჟუბუნ	ჟუბუნ	ვედინ
ჟინქუზ	ჟინ: ჟინ: ზ	შენ წინაშე ლ
ცუც	- ცუც	(ო) ცვა
ჟინ	--- ჟინ	(ჩე)მი
-----	-----	-----
-----	-----	-----
ნი. ც	ნი --	იდ -----
ჟინ. ბ.	ჟინ: ბ	შენ და
ა. ბ. ბ	ა. ბ. ბ	უფალო და
ბ. ბ. ბ	ბ. ბ. ბ	მოიყ
ჟინ	ჟინ --	ვა -----
-----	-----	-----
ნი. ს. ბ.	ნი. ს. ბ.	ით სოზ

სურ. 19

გრაგნილზე მოყვანილი ტექსტი აღებულია იონას წინასწარმეტყველებიდან (იონა, 2/8)

6) ჟინ || ზ ე. ი. „წმიდაჲ დანიელ“.

გრაგნილზე:	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	და ვი
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	ხილე d
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	ე ძოვ
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	ელი დ
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	ღეთა
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	მ მჯდ
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	ომარ
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	ე მარ
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	ჯოვე
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	ნით მა
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	მისა ს
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	ამოსელ[ი]
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	მისი [სპ]
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	ეტაკ[ი]
	ბუ ჟუ	ბუ ჟუ	მაჲ(?)

სურ. 20

ტექსტი დანიელის წინასწარმეტყველებიდან (დანიელი, 9/10)

დაბადების 1884 წ. გამოცემით:

„და ვხედავ ვითარმედ საყდარი დაიდგნეს და ძეშლი ღღეთა დაჯდა,
და შესამოსელი მისი ვითარცა თოვლი სპეტაკი“

7) **ქა - Qსუ** ე. ი. წმიდაა ოსიე (ოსე)
მხატვრობის ფენა გრაგნილით მოლიანად ჩამოცვენილია.

8) **ქა - ზჰს** ე. ი. „წმიდაა ამოს“
გრაგნილზე მოყვანილი ტექსტი:

ჳ	ჳ	და
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	გამოვ
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	იდეს სი
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	ტყოვ - -

ღ	- - ჳჰ -	- - არ -
ღ	- ⴗⴚⴑⴓⴔ -	- - ობი - -
ღ	ⴗⴚⴑⴓⴔ (?)	გან ე
-----	-----	-----
ღ	- ჳჰ -	- ისი
-----	-----	-----

სურ. 21

9) **ქა - ჳჰ** ე. ი. „წმიდაა დავით“
გრაგნილზე მოყვანილი ტექსტი:

სყႮႱ	სყႮႱ	საყდა
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	რი შენ (ი):ღმერთ
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	ო უკუნისამდე ქ
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	ოვერთ
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	ხი განგე
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	ბისა ღ
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	ა კო
ქ	-----	[ვერთხი] [ს]
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	უფ[ეფ]
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	ისა შენ
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	ისაჲ
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	ისმინ
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	ე ასუ
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	[ლ]ო ლო
ⴗⴚⴑⴓⴔ	ⴗⴚⴑⴓⴔ	- - [და] იხი
სურ. 22	-----	[ლე] - -

ე. ი. „საყდარი შენ(ი) ღმერთო უკუნისადმე კოვერთხი განგებისა და კო[ვერთხი] [ს]უფევისა შენისაჲ“ (ფსალმუნი 44/7)

„ისმინე ასუ[ლ]ო [და] იხი[ლე].....“
(ფსალმუნი 44/11)

საყურადღებოა ფსალმუნის მოყვანილი ტექსტის შედარება ძველ ქართულ ხელნაწერებთან.

X ს. ხელნაწერით, A—38 (საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი):

„ღო საყდარი შენი ოკიო ოკე კვერთხი გნგებისა შენისაჲ და კვერთხი სუფევისა შენისაჲ“

„ისმინე ასულო და იხილე.....“

სხვა ხელნაწერებით (წ. რედაქცია)⁴⁰:

„საყდარი შენი ღმერთო ოკი ოკე კვერთხი განგებისაჲ არს კვერთხი სუფევისა შენისაჲ“

„ისმინე ასულო და იხილე...“

10) ღვთისმშობლის გამოსახულება ბერძნული წარწერით: M^{CP} — Θ^V

11) იესო ქრისტეს გამოსახულება ბერძნული წარწერით: IC — XC

გახსნილი წიგნის ფურცლებზე შემდეგი ტექსტია:

ԲԿ	- ԲԳ	[მ]წყე
ԿՏԺ	ԽՏԺ	მსმა
ԻԿԴԸ	ნ ԿԴԸ	ნ კეთ
ԻԿԴԻ	- ԿԴԻ	[ი]ლმან
ՅԸԾ	ՅԸՇ	დად
ԴԴՏ	ԴԴՏ	ვის

სურ. 23

(იოანე 10/11)

საინტერესოა მოყვანილი ტექსტის დაპირისპირება იოანეს სახარების აღრინდელ და თანამედროვე გამოცემაში მოცემულ ტექსტთან.

ადიშის ოთხთავით⁴¹: „მწყემსმან კეთილმან თავი თვისი დადვის საცხოვართა თვსთა ზედა“.

ჯ. რუჟიკის (936 წ.) და პარხლის (973 წ.) ოთხთავებით⁴²:

„მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართა თვსთათვს“.

⁴⁰ ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, I, მხეჟალა შანიძის რედაქციით, თბ., 1960 წ.

⁴¹, ⁴² ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბილისი, 1945 წ.

სახარების 1879 წ. გამოცემით:

„მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დაჰსდჳს ცხოვართაჲს“.

ყველა გრაგნილის წარწერებში ტექსტის მუხლის დასაწყისი შესრუ-
ლებულია როქროსფერო-ყავისფერი საღებავით.

*
* *

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შევხვით გუმბათის მხატვრობაში მოცემულ
ერთ კომპოზიციას, სახელდობრ, ლომზე მჯდომი ჭაბუკის გამოსახულებას.

გამოსახულებით დაინტერესებული პირები აქამდე მას შორიდან იცნობ-
დნენ და შეეძლოთ მხოლოდ დურბინით დაეთვალიერებინათ იგი. ახლა ამ
გამოსახულების პირი გადაღებულია (მხატვარ ტ. შვეიაკოვას მიერ) და გა-
მოტენილია საქ. სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.



ჭაბუკის გამოსახულების ზემოთ მოთავსებულია ჯვრის მზიდავი ანგელოზების ფიგურები ისე, რომ ერთ-ერთი ანგელოზის ფეხის ტერფნი გადადის წრეხაზების არეს ზემო წრეზე, მის გარეთ (სურ. 24; მონახაზი შესრულებულია მხატვარ ტ. შევიაკოვას მიერ). წრეხაზის ზემოთ მკაფიოდ ირჩევა წარწერის სამი ასო: **შ** (შ), **ხ** (ხ) და **ს** (ს); გარდა ამისა, ამ ასოებს ზემოთ შერჩენილია ქარაგმის ნაშთი.


წარწერის ცალკე მონახაზი შესრულებულია მხატვარ ტ. შევიაკოვას მიერ; იგი სავსებით სწორია, როგორც გვიჩვენა გამოკვლევამ ადგილზე.

ამრიგად, აქ წერია **შ-ხ-ს** (შ-ხ-ს), რაც უნდა გაიხსნას როგორც სიტყვა „მთავარანგელოზი“. ეს სამი ასო მიწერილია მთავარანგელოზის გამოსახულების ფერზე მარცხნივ, და განმარტავს მთავარანგელოზის გამოსახულებას, და არა ლომზე მჯდომი ჭაბუკის კომპოზიციას.

სიტყვის „მთავარანგელოზი“ ამგვარი დაქარაგმება სავსებით კანონიერია და მიღებული. მაგალითად, ატენის სიონის აღმოსავლეთის აფსიდის მონაბატულობაში (1080 წ.), სიტყვა „მთავარანგელოზი“ აგრეთვე იწერება „შ-ხ-ს“.

(ფრესკის პირი დაცულია საქ. სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში).

რაც შეეხება ფერადოვან წრეში მოთავსებულ კომპოზიციას, იგი თავისი სქემით იმეორებს გელათის ტონდოზე მოთავსებულ წმ.



სურ. 25

მამას გამოსახულებას (XI ს. პირველი მეოთხედი)⁴³. ეს ორი გამოსახულება განსხვავდება ჭაბუკის პოზით: მანგლისის ფრესკაზე ჭაბუკი მოცემულია en face, გელათის ტონდოზე სამი-მეოთხედით მობრუნებით, ლომზე გადამჯდარი. მანგლისის ფრესკაზე ჭაბუკს ხელში უჭირავს ყანწისებრი საგანი, გელათის ტონდოზე—მკერდთან მიტანილ მარჯვენაში ჯვარი უპყრია, მარცხენა კი წინ აქვს გაწვდილი ოდნავ ზევით აზიდვით.

წმ. მამას გამოსახულება აგრეთვე მოთავსებულია საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერის A—109 მინიატურებში (XII—XIII ს.)⁴⁴, სადაც წარმოდგენილია ისევე ლომზე მჯდომი ჭაბუკი. ამგვარივე გამოსახულებაა მოთავსებული ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერში (0—I—58).

⁴³ აკად. გ. ჩუბინაშვილს მოხსენება ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის II სამეცნ. სესიაზე 1947 წ. 28 მაისს, მისივე — ქართული ოქრომჭედლობა VIII—XVIII საუკუნეებისა (ალბომი, ისტორიული მიმოხილვა და ანოტაციები), თბილისი, 1957, ტაბ. 104 და Грузинское чеканное искусство, 1959, фото 201, 202.


⁴⁴ რ. შმერლანგი. ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები. თბილისი, 1940. ტაბ. XVI.

ე. თაყაიშვილი, როდესაც აღწერს თავის მოგზაურობას საქართველოს სამხრეთის პროვინციებში, იხილავს იშხანის ტაძრის გუმბათის მხატვრობას, და აღნიშნავს, რომ გუმბათში გამოხატულია ბაბილონის მეძავი:

«В южной части купола под колесницей, в круге видна полуобнаженная женщина на рогатом звере. Это, конечно, вавилонская блудница, которая обыкновенно помещается в композиции страшного суда на западной стене храма, но в куполах грузинских церквей появляется редко», და იქვე შენიშნაში უმატებს: «Ш. Я. Амираншвили отмечает, что такая же фигура имеется в куполе Манглисского храма»⁴⁵.

ე. თაყაიშვილის სიტყვების საილუსტრაციოდ და ამ ორი გამოხატულების დაპირისპირების მიზნით მოგვყავს იშხანის ტაძრის გუმბათის მოხატულობაში არსებული კომპოზიციის ფოტო ანაბეჭდი (სურ. 25). (სურათი გადიდებულია 1917 წელს იშხანის ტაძარში გადაღებული ფოტოს დეტალიდან; რეტუში გაკეთებულია მხატვარ ტ. შვეიაკოვას მიერ).

ლომზე მჯდომარე ჭაბუკის კომპოზიცია გვაფიქრებინებს, რომ მანგლისის მოხატულობაში მოცემულია წმ. მამას გამოსახულება.



სურ. 26

ამ მოსაზრებას ამტკიცებს წმ. მამას „ცხოვრებაც“. (იხ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი Н—341).

⁴⁵ Е. Такайшвили, Археологическая экспедиция в южные провинции Грузии, Тбилиси, 1952, გვ. 36.

წმ. მამას ცხოვრებაში განსაკუთრებით არის გამოყვანილი ლომი, როგორც უმძვინვარესი მხეცი, რომელიც ჰმორჩილებს ჭაბუქს. ამიტომ გასაგებია, რომ წმ. მამას გამოსახულება დაკავშირებულია ლომთან, და იგი წარმოდგენილია ლომზე მჯდომარე (გელათის ტონდო, ხელნაწერი A—109, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი O—I—58 და სხვ).

წმ. მამას გამოსახულების მოთავსება გუმბათში იმით აიხსნება, რომ იგი განახლების სიმბოლოს წარმოადგენს⁴⁶.

აღნიშნულს უნდა დავემატოს კიდევ ერთი მოსაზრება: მანგლისის ტაძრის ირგვლივ არსებობს ლეგენდა, რომელიც დაკავშირებულია განხილულ კომპოზიციასთან; ეს ლეგენდა, რომელიც დღესაც ცოცხალია, მოგვითხრობს, რომ საქართველოში მაჰმადიანთა არა ერთგზის შემოსევის დროს, როდესაც აქ ისპობოდა ყოველივე, რაც კი დაკავშირებული იყო ქრისტიანობასთან, მანგლისის ტაძარი ხელუხლებელი რჩებოდა, რადგან მის გუმბათში თითქოს გამოსახული იყო ლომზე მჯდომარე მაჰმადი. ეს ლეგენდა მოყვანილი აქვს ვახუშტს თავის წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“; იგი აღნიშნავს, რომ მანგლისის ეკლესია „აროდეს შემუსვრილ არს. სამჯრით გუმბათსა შინა მაჰმად, ლომსა ზედა მჯდომარე დახატული. იტყვიან, მის გამო მაჰმადიანთა არა შეუმუსრავთ“⁴⁷.

საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საუკუნეთა მანძილზე წმინდანის იშვიათი სახელით „მამა“-ს გაიგივებასთან „მაჰმადის“ სახელთან და ამ გამოსახულების თავისებურ ინტერპრეტაციასთან, მით უფრო, რომ აქ გამოსახული ლომი უდავოდ მოაგონებდა ხალხს სპარსეთის დროშებზე ხშირად ასახულ ემბლემას—ლომს⁴⁸. სახელების ამგვარი აღრევა მათი ბგერითი სიახლოვის გამო, ან მივიწყებული სახელის ახლებური გააზრება არ წარმოადგენს არაკანონზომიერ მოვლენას.

ცნებათა ამგვარი შერევის მაგალითი აქვს მოყვანილი და განმარტებული გ. მელიქიშვილს — სახელდობრ „სუქკალმას“-ის (ელამის მმართველთა უზენაესი ტიტული) ცნების გააზრება სახელად „სუქკალმახი“ ამირანის თქმულებაში⁴⁹.

გარდა მოყვანილი წარწერებისა, გუმბათის ყელის დასავლეთის კალთაზე ირჩევა გადასული წარწერის ცალკე ასოები შ (დ) (?) და ნ (ნ) (სურ. 27) და რამდენიმე ასოს ფრაგმენტი.

⁴⁶ იხ. საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A—109, გვ. 408—417.

⁴⁷ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 46.

⁴⁸ საყოლადღებო მოსაზრებას, მაჰმადის გამოსახულების შესახებ მანგლისის ტაძრის მონატულობაში გამოთქვამს ა. უმანეცი (Кавказский календарь, 1852 წ. გვ. 471), თუმცა მას განხილული გამოსახულება არ უნახავს და შეცდომით წმ. გიორგის გამოსახულებად მიუჩნევია.

⁴⁹ Г. А. Меликшвили. Нагри-Урарту, Тбилиси, 1954, გვ. 121—123.



სურ. 27

*
* *

მანგლისის ტაძრის ზემოთ მოყვანილი ადრეული წარწერები საყურადღებო მასალას წარმოადგენს, როგორც ტაძრის ისტორიული მხარის გასაშუქებლად, ისე პალეოგრაფიული კვლევისათვის.

როგორც აღნიშნული იყო, ნაწილი წარწერებისა სამუდამოდაა დაღუპული და ამით მოკლებული ვართ საშუალებას წარმოვადგენა ვიქონიოთ მათ დამწერლობაზე.

მანგლისის ტაძრის ყველა ადრეული ლაბიდარული წარწერა, გარდა გიორგი მეფის წარწერისა სამხრეთის სტოას შესასვლელის თაღზე და დასავლეთის კარიბჭის წარწერების ფრაგმენტებისა, ერთი და იმავე პალეოგრაფიული ნიშნების მატარებელი არიან.

ამ წარწერების ასოებისათვის დამახასიათებელია სოლისებრი გასქელება კიდურებში და წვრილი, ზოგჯერ ძაფისებრი შემაერთებელი ხაზები და, გარდა ამისა, მრავალ შემთხვევაში კიდურების ტყუბწვეტოვანი დამთავრება, როგორც მაგალითად, **Q** (ო) ასოს ქვემო მორჩისა, **Ⓣ** (თ) ასოს მარჯვენა შეწერილისა, **Ⓢ** (დ) ასოს თავხაზისა. ამავე ხასიათის დაწერილობით ყოფილა შესრულებული, როგორც ჩანს მ. ბროსეს არქივში დაცული მონახაზიდან, სამხრეთის სარკმელის წარწერაც. ორ შემთხვევაში **ყ** (კ) ასოს შერჩენილი აქვს არქაული მოხაზულობა—ზემო, მარცხენა მკლავიდან მარცხნივ მორჩის გამოზიდვით; თითო შემთხვევაში ამგვარივე მოვლენა გვაქვს **რ** (რ) და **ჩ** (კ) ასოს დაწერილობაშიც.

აღნიშნული მოვლენები დამახასიათებელია ქართული დამწერლობის გარკვეული ეპოქისათვის, სახელდობრ X ს. დამლევისა და XI ს. პირველი ნახევრისათვის. ამგვარი ხასიათისაა (თუმცა უფრო მოხდენილი და დახვეწილი ხელით არის შესრულებული) კათალიკოს მელქისედეკ I (1010—1033 წწ.) წარწერები მცხეთის სვეტი-ცხოველის ტაძარზე და შიომღვიმის მონასტრის სვეტზე, აგრეთვე რუისისა და სამთავისის ტაძრების წარწერები და სხვა.

მოყვანილი ნიმუშები მოწმობენ, რომ მანგლისის ტაძრის ისტორიული წარწერები (გარდა დასავლეთის კარიბჭის ორი წარწერისა) ერთსა და იმავე ეპოქას, სახელდობრ XI საუკუნის პირველ მეოთხედს ეკუთვნიან.

გარჩეული წარწერების დამწერლობისაგან ერთგვარად განსხვავდება გიორგი მეფის წარწერა სამხრეთის ეკედერში შესასვლელის თავზე. აქ ასოები უფრო შემალღებულია, მათ კიდურებს არ აქვთ ტყუბწვეტოვანი დაბოლოება, ასოების კორპუსის ხაზები შუატანში უფრო სქელია, ბოლოებისაკენ და ზემო და ქვემო გადასვლებში კი უფრო თხელდება. ასოების კორპუსი მთლიანად მეტადაა შევიწროებული. ამ წარწერის ასოები თუმცა რამდენადმე გამოირჩევიან დანარჩენ ლაპიდარულ წარწერებისაგან, მაგრამ თავისი დამწერლობით მაინც იმავე ხანას, ე. ი. XI ს. პირველ ათეულ წლებს, უნდა მიეკუთვნონ.

სრულიად სხვა მოვლენას ვხედავთ დასავლეთის კარიბჭის წარწერებში, რომელთა შერჩენილი ფრაგმენტები წარმოადგენენ ასოების უკვე სულ სხვაგვარ მონახაზს. აქ ასოები მალალია და ტანწვრილი, მათი მონახაზი განსაკუთრებულ დეკორატიულ ელფერს ატარებს, მაგალითად ასოები 9 (ბ) და 5 (დ). პალეოგრაფიული ხასიათით დასავლეთის კარიბჭის წარწერები შეიძლება XII ს. დამლევს ან XIII ს. დამდეგს მივაკუთვნოთ. (იხ. შედარებითი ცხრილები, სურ. 28).

ამგვარად, მანგლისის ტაძრის ადრეული ისტორიული წარწერების პალეოგრაფიულ თავისებურებათა მიხედვით, მკაფიოდ ისახება მათი შესრულების ორი პერიოდი—ა) XI საუკუნის პირველი ათეული წლები, და ბ) XII ს. დამლევები, ან XIII ს. დასაწყისი.

რაც შეეხება ტაძრის გუმბათში შერჩენილ ფრესკულ მოხატულობის წარწერებს, რომელთაც როგორც ფუნჯით შესრულებულებს სპეციფიკური მოვლენები ახასიათებს, ისინიც თავისი დამწერლობით უნდა მიეკუთვნონ XI ს. პირველ ათეულ წლებს; მაგრამ აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ მოხატულობის წარწერებში ზოგ შემთხვევებში შეიძლება გამოვყოთ უფრო მოგვიანო ხანის დაწერილობაც; ასეთია დაწერილობა იესო ქრისტეს გამოსახულებასთან წიგნის ფურცლებზე მოყვანილი ტექსტისა და ზოგი წმინდანების სახელებისა. აღნიშნული ნაწილების დაწერილობა თავისი ხასიათით შეიძლება XII ს. დამლევს მიეკუთვნოს, როდესაც, როგორც ჩანს, ადგილი ჰქონია ძველი მოხატულობის ნაწილობრივ შეკეთებას.

ძველი ქართული წიგნების აღწერის მონაცემები

ა ბ გ დ ე ვ ზ ლ რ ს თ ყ უ ფ ქ ც ძ ჳ

ს.წ.	დოკუმენტის აღწერა		აბრევიატურა		საბუღალტრო აღნიშვნა		საბუღალტრო აღნიშვნა		საბუღალტრო აღნიშვნა		საბუღალტრო აღნიშვნა		საბუღალტრო აღნიშვნა		საბუღალტრო აღნიშვნა		საბუღალტრო აღნიშვნა		საბუღალტრო აღნიშვნა		
	ს.წ.	ს.წ.	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ღ	რ	ს	თ	ყ	უ	ფ	ქ	ც	ძ	ჳ	
36	სსს	ლ		4	სს	44	სსს	4	სსს		სს				სს	4		სსსს	აბაბ	სს	სს
58	რრ	2		7		77		7										7777			
63	8	8		8		8888		8888							8			8888	44	58	
75	77	77				7777		77		7		7						777	ფფ	7	
34	7	+		+	7	777	+	777						+				777		7	
85		0			0	0	000		00										00		
89					4	4	44		44										44		4
92	0	ყ		ყ	0	000	ყყ	00	ყ						0	ყ		0000	ყყყ	0	
94	77			77		7777	7	777		7								7777	7	7	
30	6					666		6										6666	6	6	
64	8	ძ		8		888	ძ	88		88								8888	ძძ	88	8
87	მმ			მ		მმმმ	მმ	მმმ	მ					მ				მმმ	მ	მ	მ
64	ნნნ					ნნ		ნნნნ		ნ								ნნნ	ნ	ნ	
26	2					2		2		2								2222	22		
01	QQQ	ყ		Q		QQQ	ყ	QQ	ყ	Q								QQQQ	ყ		
35						3		33											33		
13		7				77		7											77		

ტაბულის მონაცემები შეასრულა ლ. მაკაეიძის მიერ

[13]

117 246/780



გვ. 13 კოდ.

ТЕЙМУРАЗ ВАСИЛЬЕВИЧ БАРНАВЕЛИ
НАДПИСИ ХРАМА В МАНГЛИСИ

(на грузинском языке)

Издательство Академии наук Грузинской ССР
Тбилиси — 1961